



დამტკიცებულია ა(ა)იპ პროფესიული მომზადება-გადამზადების ცენტრის  
დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N9 ბრძანებით

## პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების

### პროგრამაზე მსმენელის შეფასების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს ა(ა)იპ - პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ „ფერმერთა სკოლის“ (შემდგომში - „სკოლა“) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე (შემდგომში - „პროგრამა“) მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. სერტიფიკატის მოსაპოვებლად მსმენელმა უნდა დაადასტუროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი.

#### მუხლი 2. მსმენელის შეფასება

1. პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება ხორციელდება პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ განმსაზღვრელი შეფასებით.
2. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას დაუშვებს მხოლოდ ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
3. სწავლის შედეგის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის განმახორციელებელი პირის შეხედულებისამებრ - ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს და/ან რამდენიმე სწავლის შედეგის დასრულების შემდგომ, პროგრამით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.



4. შეფასების მეთოდების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია პროგრამაში.

### **მუხლი 3. დამატებითი/განმეორებითი დადასტურება**

1. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დამატებითი/განმეორებითი დადასტურების შესაძლებლობა პროგრამის დასრულებამდე მხოლოდ ერთხელ.
2. მსმენელს უფლება აქვს შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში დამატებითი/განმეორებითი დადასტურების მოთხოვნით წერილობითი განცხადებით მიმართოს სკოლის დირექტორს, სადაც უნდა მიუთითოს ინფორმაცია სწავლის შედეგის დადასტურების ხელისშემშლელი გარემოების შესახებ.
3. სკოლის დირექტორი განიხილავს მსმენელის განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე განცხადების წარდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და წერილობით აცნობებს გადაწყვეტილებას განმცხადებელს.
4. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი პირისა და მსმენელის მიერ შეთანხმებულ დროს ხორციელდება მსმენელის სწავლის შედეგის დამატებითი/განმეორებითი შეფასება.
5. დამატებითი/განმეორებითი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უწყდება მსმენელის სტატუსი.

### **მუხლი 4. შეფასების შედეგები**

შეფასების შედეგები მსმენელს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

### **მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.
2. წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.